სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 **ივნისი, 2024 წელი**

ბრძანება № 01-02/103

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლინგვისტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნინო გაბეჩავას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **ნინო გაბეჩავას** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის № 01-08/513 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №06-01/24 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (21.06.2024, ოქმი N22-20/3) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (MES 5 24 0000745198, 25.06.2024)

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ლინგვისტიკის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ნინო გაბეჩავას** სადისერტაციო ნაშრომის **„პარატაქსი და ჰიპოტაქსი ქართულში და მათი სწავლება“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2024 წლის 9 ივლისს, 13:00 საათზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ლინგვისტიკის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. მაია ბარამიძე -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. მზია ხახუტაიშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი)**;

2.3. ირინე გოშხეთელიანი - ბსუ-ს პროფესორი;

2.4. მარინე არაშიძე-ბსუ-ს პროფესორი;

2.5. ნანა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.6. თემურ ავალიანი -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. ელზა ფუტკარაძე-ფილოლოგიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**